ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3184405

ნომერი: AR1489279

თარიღი : 23.03.2017

გაცემის თარიღი : 03.04.2017

გაცნობის თარიღი : 03.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 58 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ჩოჩოშვილი პ/ნ 01022004803
- თბილისი თემქა IX კვ. კორ. ბ ბ. 18

ორგანიზაცია:

- სს ბაზისბანკი კოდი: 203841833

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი– ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზირი #58-ში, სს „ბაზისბანკი“-ს კუთვნილი ფართის ფასადზე, სამსახურის მიერ 13.08.2007 წ. #დიზ/879 გადაწყვეტილებით დადასტურებული I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების კორექტირებული ფოტომონტაჟის განხორციელების შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატქვირთული დოკუმენტაციის (ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები N 01.14.03.036.008.01.500, არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დასტურის რეკვიზიტები, კრების ოქმი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი– ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზირი #58-ში, სს „ბაზისბანკი“-ს კუთვნილი ფართის ფასადზე, სამსახურის მიერ 13.08.2007 წ. #დიზ/879 გადაწყვეტილებით დადასტურებული I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე განხორციელების შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.